

# სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები (ვენერიული დაავადებები)

## აივ/შიდსი

ალბათ იცი, რომ დღესდღეობით საქართველოში საკმაოდ გავრცელებულია სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები და აივ/შიდსი. შენ, გამომდინარე შენი საქმიანობიდან საკმაოდ დიდი რისკის ქვეშ ხარ. გახსოვდეს, რომ მათგან თავის დაცვის ერთ-ერთი საშუალება, უსაფრთხო სქესობრივი ურთიერთობებია.

სწორედ ამიტომ შეიქმნა ეს მასალა. ჩვენ შევეცადეთ, რომ მოგვეწოდებინა ის ინფორმაცია, რომლის ცოდნაც აუცილებელია შენთვის. იმედია, პასუხი გაეცემა ბევრ შენთვის საინტერესო შეკითხვას და არსებულ ინფორმაციას გამოიყენებ შენი საჭიროებისამებრ.

რა თქმა უნდა ეს მასალა ამომწურავ ინფორმაციას ვერ მოგაწვდის და შესაძლებელია დამატებითი კითხვები გაგიჩნდეს.

ამისათვის აკრიფე ტელეფონის ნომერი:

თბილისი – 25 18 19

ბათუმი – 7 42 13

ცენტრის "თანადგომა" კონსულტანტები უპასუხოდ არ დატოვებენ შენს შეკითხვებს.

**გახსოვდეს: ყოველი ზარი ანონიმური და უფასოა.**

# ᲡᲥᲔᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲛᲓᲔᲑᲘ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ (ᲡᲒᲒᲘ)

## ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲨᲘᲤᲠᲔᲑᲐ ᲡᲒᲒᲘ?

სგგი იშიფრება, როგორც სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები. ასეთ ინფექციებს ვენერიულ დაავადებებსაც უწოდებენ.

## ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐᲐ ᲡᲥᲔᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲛᲓᲔᲑᲘ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲐ?

ეს ისეთი დაავადებაა, რომელიც გადაედება ერთი ადამიანიდან მეორეს სქესობრივი კონტაქტის ანუ სქესობრივი თანაცხოვრების დროს.

## ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲡᲒᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲓᲦᲔᲡ?

დღეისათვის ცნობილია 30-ზე მეტი სგგი, მათგან ყველაზე:

- სიფილისი
- გონორეა ანუ ტრიპერი
- ტრიქომონიაზი
- ქლამიდიოზი
- სოკოვანი ინფექცია
- აივ/შიდსი

## ᲠᲐ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ ᲒᲕᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲡᲒᲒᲘ-Ს ᲓᲠᲝᲡ?

სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების დროს ძირითადად გვხვდება შემდეგი ნიშნები:

- წვის შეგრძნება შარდვის დროს;
- სიწითლე სასქესო ორგანოების მიდამოებში;
- გამონაყარი სასქესო ორგანოებზე, კანზე და ლორწოვან გარსებზე – მაგალითად, პირის ღრუში, საშოში.

- გამონადენი;
- ქავილი;
- ტკივილი მუცლის ქვედა არეში

### ყოველთვის ვლინდება ეს ნიშნები ანუ სიმპტომები სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების დროს?

სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები ხანდახან მიმდინარეობს ფარულად ანუ ადამიანი ვერ გრძნობს, რომ იგი ინფიცირებულია რაიმე კონკრეტული დაავადებით. ნიშნები ჩნდება უკვე გართულებების პერიოდში.

**გახსოვდეს,შეიძლება დაავადებულ ადამიანს გარეგნულად არაფერი ეტყობოდეს, მაგრამ ის ინფიცირებულია და გადამდებია!**

### როგორ გადადის სგგი?

სგგი ძირითადად გადაეცემა სქესობრივი კავშირის დროს. სქესობრივი კავშირი შეიძლება იყოს:

- ვაგინალური ანუ მამკაცის სასქესო ორგანოს საშოში შეღწევა;
- ანალური ანუ მამაკაცის სასქესო ორგანოს უკანა ტანში შეღწევა;
- ორალური ანუ „მინეტი“.

სქესობრივი კავშირის ამ სამივე სახის დროს შეიძლება მოხდეს სგგი-ს გადაცემა ერთი ადამიანიდან მეორეზე.

**ყოველთვის გამოიყენე პრეზერვატივი! თუ გაიხა, სასწრაფოდ შეწყვიტე სქესობრივი აქტი და აუცილებლად გამოიყენე ახალი პრეზერვატივი!**

## რა უნდა ვიცოდე სიფილისის შესახებ?

სიფილისის გადაცემის გზებია:

- დაუცველი სქესობრივი ურთიერთობა ანუ ურთიერთობა პრეზერვატივის გარეშე - ვაგინალური, ორალური და ანალური;
- სისხლი - მაგალითად, ინფიცირებული სისხლის გადასხმისას;
- მჭიდრო საყოფაცხოვრებო ურთიერთობა დაავადებულთან–მაგალითად, ინფიცირებულის თეთრეულის ან ჭურჭლის გამოყენება;
- დედიდან შვილზე ორსულობის ან მშობიარობის დროს.

## რა ნიშნები ახასიათებს სიფილისს?

დაინფიცირებიდან **1-4 კვირის პერიოდში** ჩნდება მუწუკისმსგავსი წარმონაქმნი წყლულოვანი თავით ანუ შანკრი. ის ხშირად უმტკივნეულოა.
ხშირად შანკრი ჩნდება ღრმად საშოში ან საშვილოსნოს ყელზე და ამიტომ უხილავია. **10-15 დღეში** შანკრი თავისით ქრება, მაგრამ დაავადება აგრძელებს განვითარებას.
**2 თვიდან 3 წლამდე პერიოდში** ჩნდება გამონაყარი, ლაქები, წყლულები კანზე და ლორწოვან გარსზე. ახასიათებს თმის ცვენა, კუნთების ტკივილი;

თუ გქონია შემთხვევითი სქესობრივი კავშირი პრეზერვატივის გარეშე ან გაიხა პრეზერვატივი და ეჭვი გეპარება, რომ ხარ ინფიცირებული, დაუყოვნებლივ მიმართე ექიმს.

## რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს სიფილისს, თუ არ ვიმკურნალებ?

ინფიცირებიდან **3-10 წლის** შემდეგ არანამკურნალები დაავადება იწვევს კანის, ნერვული და ძვალ-სახსროვანი სისტემის, შინაგანი ორგანოების დაზიანებას. ორგანიზმი იხრწნება და ადამიანი კვდება.

## რა შემთხვევაში გავიკეთო ანალიზი სიფილისზე?

- თუ შეამჩნევ შანკრს, დაუყოვნებლივ გაიკეთე ანალიზი.
- იმ შემთხვევაში, თუ არაფერი გაწუხებს, მაგრამ ეჭვი გეპარება, რომ ინფიცირებული ხარ, დაუყოვნებლივ მიმართე ექიმ-ვენეროლოგს.

დროული მკურნალობის შედეგად სიფილისი იკურნება.

## რა უნდა ვიცოდე ტრიპერის ანუ გონორეას შესახებ?

გონორეა აზიანებს არა მარტო შარდ-სასქესო სისტემას, არამედ სწორ ნაწლავს, პირის ღრუს ლორწოვან გარსს, თვალებს და სხვ.

## როგორ გადაეცემა გონორეა?

გონორეას გადაცემის ძირითადი გზა არის დაუცველი სქესობრივი ურთიერთობა ანუ ურთიერთობა პრეზერვატივის გარეშე – ვაგინალური, ორალური და ანალური.

**თუ გქონია შემთხვევითი სქესობრივი კავშირი პრეზერვატივის გარეშე ან გაიხა პრეზერვატივი და ეჭვი გეპარება, რომ ხარ ინფიცირებული, დაუყოვნებლივ მიმართე ექიმს.**

## რა ნიშნები ახასიათებს გონორეას?

ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია საშოდან მოყვითალო-მომწვანო გამონადენი არასასიამოვნო სუნით. გონორეას ნიშნები ჩნდება ინფექციის შეჭრიდან მე-3 მე-7 დღეს. 10-14 დღის შემდეგ დაავადების ნიშნები შეიძლება გაქრეს თავისით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანი გამოჯანმრთელდა. ამ მომენტიდან დაავადება გადადის ქრონიკულ სტადიაში და პერიოდულად შესაძლებელია მოხდეს გამწვავება.

## რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს გონორეას, თუ არ ვიმკურნალებ?

არანამკურნალებმა გონორეამ შეიძლება გამოიწვიოს შინაგანი ორგანოების დაზიანება, უშვილობა, იმპოტენცია და სხვა

## რა შემთხვევაში გავიკეთო ანალიზი გონორეაზე?

იმ შემთხვევაში თუ ექვი შეგეპარა, რომ ინფიცირებული ხარ, დაუყოვნებლივ მიმართე ექიმს და გაიკეთე ანალიზი. სრულფასოვანი მკურნალობის შემთხვევაში გონორეა იკურნება.

## რა უნდა ვიცოდე ქლამიდიოზის შესახებ?

ქლამიდიოზის დროს ზიანდება არამარტო შარდ-სასქესო სისტემა, არამედ სხვა  ორგანოებიც. მაგალითად ნერვული სისტემა.

**თუ გქონია შემთხვევითი სქესობრივი კავშირი პრეზერვატივის გარეშე ან გაიხა პრეზერვატივი და ეჭვი გეპარება, რომ ხარ ინფიცირებული, დაუყოვნებლივ მიმართე ექიმს.**

## როგორ გადაეცემა ქლამიდიოზი?

ქლამიდიოზის გადაცემის ძირითადი გზა არის დაუცველი სქესობრივი ურთიერთობა ანუ ურთიერთობა პრეზერვატივის გარეშე - ვაგინალური, ორალური და ანალური;
ქლამიდიოზი გადაეცემა ასევე ორსული დედიდან ნაყოფზე.

## რა ნიშნები ახასიათებს ქლამიდიოზს?

ამ დაავადებისათვის დამახასიათებელია გამჭვირვალე, უფერო გამონადენი და ტკივილი შარდვისას. ჩივილები ჩნდება 1-2 კვირის შემდეგ. ხშირად ქლამიდიოზი მიმდინარეობს ყოველგვარი ნიშნების გარეშე და ხდება მიზეზი ადრეული მუცლის მოშლისა და უშვილობის.

## რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს ქლამიდიოზს, თუ არ ვიმკურნალებ?

ქლამიდიოზი გადაეცემა ორსული დედიდან ნაყოფს და ბავშვი შეიძლება გაჩნდეს თანდაყოლილი სიმახინჯეებით.

## რა შემთხვევაში გავიკეთო ანალიზი ქლამიდიოზზე?

იმ შემთხვევაში, თუ ეჭვი შეგეპარა, რომ ინფიცირებული ხარ, დაუყოვნებლივ მიმართე ექიმს და გაიკეთე ანალიზი. სრულფასოვანი მკურნალობის შემთხვევაში ქლამიდიოზი იკურნება.

თუ გქონია შემთხვევითი სქესობრივი კავშირი პრეზერვატივის გარეშე ან გაიხა პრეზერვატივი და ეჭვი გეპარება, რომ ხარ ინფიცირებული, დაუყოვნებლივ მიმართე ექიმს.

## რა უნდა ვიცოდე ტრიქომონიაზის შესახებ?

ტრიქომონიაზი საკმაოდ ვერაგი დაავადებაა. იგი აზიანებს შარდ-სასქესო სისტემას; შესაძლოა დაფაროს სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების ნიშნები.

## როგორ გადაეცემა ტრიქომონიაზი?

ტრიქომონიაზის გადაცემის ძირითადი გზა არის დაუცველი სქესობრივი ურთიერთობა ანუ ურთიერთობა პრეზერვატივის გარეშე - ვაგინალური, ორალური და ანალური; შესაძლებელია ტრიქომონიაზი გადაეცეს საყოფაცხოვრებო გზით, მაგალითად, სხვისი თეთრეულით ან საბანაო ღრუბელის გამოყენებისას.

## რა ნიშნები ახასიათებს ტრიქომონიაზს?

დაავადების პირველი ნიშნები ვლინდება 3-25 დღის მანძილზე, თუმცა ხშირად მიმდინარეობს ყოველგვარი გამოვლინების გარეშე. დამახასიათებელი სიმპტომებია: ქავილი და გაღიზიანება სასქესო ორგანოების მიდამოში და ქაფისებური გამონადენი არასასიამოვნო სუნით.

## რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს ტრიქომონიაზს, თუ არ ვიმკურნალებ?

არანამკურნალებმა ტრიქომონიაზმა შესაძლოა გამოიწვიოს უშვილობა.

თუ გქონია შემთხვევითი სქესობრივი კავშირი პრეზერვატივის გარეშე ან გაიხა პრეზერვატივი და ეჭვი გეპარება, რომ ხარ ინფიცირებული, დაუყოვნებლივ მიმართე ექიმს.

## რა შემთხვევაში გავიკეთო ანალიზი ტრიქომონიაზზე?

დაავადების პირველივე ნიშნების გაჩენისთანავე მიმართეთ ექიმს.
სრულფასოვანი მკურნალობის შემთხვევაში ტრიქომონიაზი იკურნება.

## რა უნდა ვიცოდე სოკოვანი ინფექციის შესახებ?

ამ დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმი ხშირად ხვდება ორგანიზმში სხვა სგგი-ის გამომწვევებთან ერთად, თუმცა ასევე შეიძლება გაჩნდეს ქლამიდიოზის, ტრიქომონიაზის, ვირუსული ინფექციების და სხვა დაავადებების მკურნალობის, აგრეთვე ფეხმძიმობის შემდეგ.

## რა ნიშნები ახასიათებს სოკოვან ინფექციას?

ამ დაავადების მიმდინარეობა შეიძლება დაიყოს ორ სტადიად:
მატარებლობა - ამ დროს არანაირი ნიშნების გამოვლინება არ ხდება, მაგრამ ამ ადამიანმა შეიძლება გადადოს ეს დაავადება სხვას;
მწვავე პერიოდი - გრძელდება დაახლოებით 2 თვე და ახასიათებს: კანის და ლორწოვანი გარსის შეწითლება, შეშუპება, გამონაყარი. დამახასიათებელია ქავილის და წვის შეგრძნება სასქესო ორგანოების არეში, ხაჭოსებრი გამონადენი.

თუ გქონია შემთხვევითი სქესობრივი კავშირი პრეზერვატივის გარეშე ან გაიხა პრეზერვატივი და ეჭვი გეპარება, რომ ხარ ინფიცირებული, დაუყოვნებლივ მიმართე ექიმს.

## რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს სოკოვან ინფექციას, თუ არ ვიმკურნალებ?

თუ არ იმკურნალებ, დაავადება გადადის ქრონიკულ სტადიაში. სრულფასოვანი მკურნალობის შემთხვევაში სოკოვანი ინფექცია იკურნება.

**!**

**უნდა გვახსოვდეს, რომ მკურნალობა აუცილებელია ორივე პარტნიორისთვის,სხვა შემთხვევაში მკურნალობას აზრი არა აქვს.**

## შეიძლება თუ არა მე თვითონ ჩავიტარო სგგი-ს მკურნალობა?

არა! სგგი-ს მკურნალობას უნდა აწარმოებდეს ექიმი-ვენეროლოგი; თვითმკურნალობა საშიშია შემდეგი მიზეზების გამო:

- შენ თვითონ ვერ მიხვდები, რომელი სგგი-თი ხარ ინფიცირებული და ვერ შეარჩევ შესაბამის მკურნალობას;
- თუ სგგი-ს სწორად არ უმკურნალებ, ის გადავა ქრონიკულ ფორმაში და განვითარდება გართულებები, კერძოდ, უშვილობა, აბორტი, საშვილოსნოს გარე ორსულობა, ქრონიკული ტკივილები, სხვა ორგანოების (ღვიძლი, თირკმელები, თავის ტვინი, სხვ) დაზიანება, და ზოგიერთ შემთხვევაში სიკვდილი;
- ანტიბიოტიკების (კანამიცინი, გენტამიცინი და სხვ) არასწორი მიღება გამოიწვევს იმას, რომ დაავადების

თუ გქონია შემთხვევითი სქესობრივი კავშირი პრეზერვატივის გარეშე ან გაიხა პრეზერვატივი და ეჭვი გეპარება, რომ ხარ ინფიცირებული, დაუყოვნებლივ მიმართე ექიმს.

გამომწვევი გახდება მდგრადი წამლებისადმი ანუ მასზე წამლები აღარ იმოქმედებს და ამიტომ ამ დაავადების მკურნალობა საკმაოდ გაძნელდება;

- მკურნალობის კურსი უნდა მიყვანილ იქნას ბოლომდე იმის მიუხედავად, გაქრა ჩივილები თუ არა, ამის გაკონტროლება კი მხოლოდ ექიმს შეუძლია.

# აივ/შიდსი

## რას ნიშნავს აივ?

აივ არის ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი. ჩვენ მას პირობითად ვუწოდებთ „შიდსის ვირუსს“

## რას აზიანებს შიდსის ვირუსი?

შიდსის ვირუსი აზიანებს ორგანიზმის დაცვის სისტემას ანუ იმუნიტეტს, რომელიც შენს ორგანიზმს იცავს სხვადასხვა ინფექციებისგან. ამ ვირუსის მიერ გამოწვეულ ინფექციას ეწოდება აივ ინფექცია.

აივ ინფექცია ვითარდება ნელა. შეიძლება გავიდეს 3-10 წელი, სანამ ადამიანი მიხვდება, რომ ის დაავადებულია და აქვს შიდსი . მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ამ ადამიანს ავადმყოფობის არაფერი ეტყობა, ის მაინც გადამდებია და შეუძლია გადადოს ვირუსი სხვა ადამიანს.

## ეტყობა თუ არა ადამიანს, რომ ის დაავადებულია შიდსით?

გარეგნულად შეუძლებელია მიხვდე, ადამიანი დაავადებულია შიდსით თუ არა. დროთა განმავლობაში შიდსის ვირუსი ანგრევს ორგანიზმის დაცვის უნარს, ვითარდება სხვადასხვა დაავადება, რომლებიც რთულდება და იწვევს სიკვდილს. ამ გართულებების გამოვლინების სტადიას ეწოდება შიდსი.

## როგორ გადაეცემა შიდსის ვირუსი?

შიდსის ვირუსი გადაეცემა

- დაუცველი სქესობრივი კონტაქტით:
  სქესობრივი კონტაქტი საშოში
  ორალური ანუ მინეტი)
  ანალური ანუ უკანალში სქესობრივი კავშირი
- სისხლის კონტაქტი – აივ ინფიცირებული სისხლით დაბინძურებული შპრიცის, თუ სხვა სამედიცინო ან კოსმეტოლოგიური (მანიკიური, პედიკიური) ინსტრუმენტის გამოყენების შემთხვევაში.
- ინფიცირებული ორსული დედისაგან ნაყოფზე, მშობიარობის და ძუძუთი კვების დროს.

შიდსის ვირუსი არ გადაეცემა:

- დახველებით, დაცემინებით, ან კოცნით
- ხელის ჩამორთმევით, მოხვევით
- დაავადებულის ჭურჭლით, თეთრეულით
- საერთო ტუალეტით და აბაზანით სარგებლობისას
- საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და ტრანსპორტში (ავტობუსი, ტროლეიბუსი, მატარებელი და სხვ.)
- მწერების და ცხოველების ნაკბენით

იმისათვის, რომ დავადგინოთ, არის თუ არა ადამიანი შიდსის ვირუსის მატარებელი აივ ინფიცირებული, საჭიროა გაკეთდეს სისხლის ანალიზი შიდსზე.

## იკურნება თუ არა შიდსი?

შიდსის სრული განკურნება დღესდღეობით შეუძლებელია, მაგრამ სპეციალური ძვირადღირებული წამლებით შესაძლებელია სიცოცხლის გახანგრძლივება.

**გახსოვდეს, რომ აივ/შიდსისგან თავის დაცვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა პრეზერვატივი!**

რაკი ამ გვერდამდე მოხვედი, იმედია ბოლომდე გაეცანი ჩვენს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. გაგიჩნდა რაიმე დამატებითი შეკითხვები? არ მოგერიდოს, აკრიფე ტელეფონის ნომერი

თბილისი – 25 18 19

ბათუმი – 7 42 13

და გიპასუხებენ: **"თანადგომა გისმენთ"**

საუკეთესო სურვილებით
ცენტრი "თანადგომა"

კონსულტაციებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ:

საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური
ცენტრი "თანადგომა"

თბილისი
ტელ.: 25 18 19

ბათუმი
ტელ.: 7 42 13

ვებ-გვერდი: **www.tanadgoma.ge**

კონსულტაციები უფასო და ანონიმურია